



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 დეკემბერი 2024



N 732/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 24 დეკემბრის N725/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს „ვერობეტონის“ მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინილ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე 2024 წლის 24 დეკემბერს, გამოიკა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N725/ს ბრძანება „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“.

ბრძანების სათაურში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ნაცვლად „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ - უნდა ეწეროს „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 24 დეკემბრის N725/ს ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვერობეტონს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვერობეტონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/732-21-4-202412251708>

